

შპს „ვასკ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-15

შპს „ვასკ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	110,447	109,637
არამატერიალური აქტივები	5	1,186	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		111,634	109,637
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	75,352	27,954
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	622,752	518,121
მარაგები	8	286,153	228,992
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		984,256	775,067
სულ აქტივები		1,095,890	884,705
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		213,781	225,582
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		517,387	210,729
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		731,169	436,311
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		80,000	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		80,000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	274,009	446,926
საგადასახადო ვალდებულებები		10,711	1,468
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		284,721	448,394
სულ ვალდებულებები		364,721	448,394
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,095,890	884,705

დირექტორი:

შპს „ვასპ გრუპი“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	10	2,537,419	2,081,171
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(1,564,028)	(1,443,846)
საერთო მოგება		973,390	637,325
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(545,967)	(410,765)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	12	(86,672)	(49,895)
ცვეთა და ამორტიზაცია		(21,970)	(20,295)
საპროცენტო ხარჯები		(1,600)	-
სხვა ხარჯები		(6,900)	-
საოპერაციო მოგება		310,281	156,369
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		952	15,506
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(331)	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(4,244)	(2,328)
მოგება დაბეგვამდე		306,659	169,547
მოგების გადასახადი		-	(322)
წმინდა მოგება		306,659	169,226
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		306,659	169,226

დირექტორი:

შპს „ვასპ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	204,164	-	41,503	245,667
მოგება წლის ბოლოს	-	-	169,226	169,226
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	169,226	169,226
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	21,418	-	-	21,418
2021 წლის 31 დეკემბერი	225,582	-	210,729	436,311
მოგება წლის ბოლოს	-	-	306,659	306,659
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	306,659	306,659
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(11,800)	-	-	(11,800)
2022 წლის 31 დეკემბერი	213,781	-	517,387	731,169

დირექტორი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვასკ გრუპი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 31 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 406306634.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სარემონტო მასალების, წებოცემენტების, ფუგის წარმოება და საბითუმო რეალიზაცია. გარდა ამისა კომპანია დაკავებულია სამშენებლო სარემონტო მასალების შეძენა/რეალიზაციით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქუჩა #8 .

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს სამი მესაკუთრე:

- ლევან გულედანი, 62004014122 33%
- არტურ დავიდიანი, 01011047750 33%
- ილგამ მამედოვი, 01015008467 34%

კომპანიის დირექტორია ლევან გულედანი 62004014122. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 213,781 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 16 ადამიანი.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალოს საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიჯების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოამზადა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას გააჩნია აქტივების და წმინდა კაპიტალის მნიშვნელოვანი ოდენობა, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.2 ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ძირითადი საადრიცხო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიხდება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, შენობას ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდის მიხედვით, წლიური ცვეთის კოეფიციენტი 5პროცენტი. ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	ცვეთის პროცენტი
მიწა	არ იცვითება
შენობები	5%
მანქანა-დანადგარები	10%
ავტომობილები	20%
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	20%
კომპიუტერული ტექნიკა	20%

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ მხოლოდ საბუღალტრო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან

აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

	ავეჯი და ოფისის ადჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრი	9,176	101,968	2,854	113,998
შემოსვლა	5,815	20,541	368	26,723
გასვლა/ჩამოწერა	(1,398)	-	-	(1,398)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრი	13,593	122,508	3,222	139,323
შემოსვლა	3,362	23,000	2,417	28,780
გასვლა/ჩამოწერა	-	(6,000)	-	(6,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	16,955	139,508	5,639	162,103
დაგროვილი ცვეთა				
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრი	(339)	(8,985)	(68)	(9,391)
ცვეთის ხარჯი	(1,937)	(17,929)	(430)	(20,295)
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრი	(2,276)	(26,913)	(497)	(29,686)
ცვეთის ხარჯი	(2,987)	(18,571)	(412)	(21,970)
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	(5,263)	(45,484)	(909)	(51,656)
საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრი	8,838	92,983	2,787	104,608
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრი	11,317	95,595	2,725	109,637
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	11,692	94,024	4,730	110,447

კომპანიის ძირითადი საშუალებები ჩადებული არ არის გირაოში და არც ბანკის სესხის უზრუნველყოფის ნაწილში.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:
(თანხები მოცემულია ლარში)

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
თანხა ბანკში ეროვნულ ვალუტაში	74,603	15,441
თანხა ბანკში უცხოურ ვალუტაში	748	12,513
თანხა სალაროში	-	-
	75,352	27,954

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:
(თანხები მოცემულია ლარში)

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო მოთხოვნები	600,113	478,203
გაცემული ავანსები	21,593	34,754
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,045	5,163
სულ სავაჭრო მოთხოვნები	622,752	518,121

8. მარაგები

მარაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:
(თანხები მოცემულია ლარში)

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გასაყიდი საქონელი	63,830	102,220
ნედლეული და მასალები	179,146	111,532
საწვავი	3,029	1,264
ადმინისტრაციული ხარჯები	11	-
მზა პროდუქცია	40,137	13,976
სულ მარაგები	286,153	228,993

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
(თანხები მოცემულია ლარში)

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	273,473	446,911
გადასახდელი პროცენტი	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	536	15
სულ მარაგები	274,009	446,926

10. ამონაგები

ამონაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:
(თანხები მოცემულია ლარში)

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,548,135	2,093,116
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(10,716)	(11,945)
სულ ამონაგები	2,537,419	2,081,171

11. თვითღირებულება
(თანხები მოცემულია ლარში)

თვითღირებულება 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,449,964	1,364,580
პირადაპირი ხელფასი	114,064	79,266
სულ	1,564,028	1,443,846

12. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები
(თანხები მოცემულია ლარში)

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2022 წლის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
რეკლამის ხარჯები	2,311	-
საწვავის ხარჯი	84,361	48,528
მიწოდების სხვა ხარჯი	-	1,367
სულ	86,672	49,895

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი
(თანხები მოცემულია ლარში)

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ავტოტრანსპორტის რემონტის ხარჯი	30,820	24,592
საწარმოს სამეურნეო ხარჯი	33,675	25,030
შრომის ანაზღაურება	239,362	151,806
იჯარა	83,447	90,404
კომუნიკაციის ხარჯები	2,200	1,663
კომუნალური ხარჯები	141,192	101,045
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	15,272	16,225
სულ	545,967	410,765

14. პირობითი ვალდებულება

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასამართლო დავების წარმოება არ აქვს.

შპს „ვასკ გრუპი“
დირექტორი

შპს „ვასპ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	110,447	109,637
არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	1,186	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		111,634	109,637
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>6</u>	75,352	27,954
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>7</u>	622,752	518,121
მარაგები	<u>8</u>	286,153	228,992
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		984,256	775,067
სულ აქტივები		1,095,890	884,705
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		213,781	225,582
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		517,387	210,729
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		731,169	436,311
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		80,000	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		80,000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>9</u>	274,009	446,926
საგადასახადო ვალდებულებები		10,711	1,468
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		284,721	448,394
სულ ვალდებულებები		364,721	448,394
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,095,890	884,705

დირექტორი:



შპს „ვასპ გრუპი“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	<u>10</u>	2,537,419	2,081,171
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	<u>11</u>	(1,564,028)	(1,443,846)
საერთო მოგება		973,390	637,325
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>13</u>	(545,967)	(410,765)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>12</u>	(86,672)	(49,895)
ცვეთა და ამორტიზაცია		(21,970)	(20,295)
საპროცენტო ხარჯები		(1,600)	-
სხვა ხარჯები		(6,900)	-
საოპერაციო მოგება		310,281	156,369
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		952	15,506
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(331)	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(4,244)	(2,328)
მოგება დაბეგვრამდე		306,659	169,547
მოგების გადასახადი		-	(322)
წმინდა მოგება		306,659	169,226
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		306,659	169,226

დირექტორი:



შპს „ვასპ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	204,164	-	41,503	245,667
მოგება წლის ბოლოს	-	-	169,226	169,226
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	169,226	169,226
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	21,418	-	-	21,418
2021 წლის 31 დეკემბერი	225,582	-	210,729	436,311
მოგება წლის ბოლოს	-	-	306,659	306,659
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	306,659	306,659
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(11,800)	-	-	(11,800)
2022 წლის 31 დეკემბერი	213,781	-	517,387	731,169

დირექტორი:



9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
(თანხები მოცემულია ლარში)

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	273,473	446,911
გადასახდელი პროცენტი	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	536	15
სულ მარაგები	274,009	446,926

10. ამონაგები

ამონაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(თანხები მოცემულია ლარში)

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,548,135	2,093,116
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(10,716)	(11,945)
სულ ამონაგები	2,537,419	2,081,171

11. თვითღირებულება
(თანხები მოცემულია ლარში)

თვითღირებულება 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,449,964	1,364,580
პირადაპირი ხელფასი	114,064	79,266
სულ	1,564,028	1,443,846

